საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 48 (6542) 26 ნოემბერი ხუთშაბათი 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომიდან

17 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა დახურულ სხდომაზე განიხილა „აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის“ საკითხი.

თავის ვრცელ გამოსვლაში საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ დღეს აფხაზეთში წყდება საქართველოს ბედი და, შეიძლება ითქვას, არა მარტო საქართველოსი, ამ რეგიონის მონაწილეთ — ში ხომ ევრაზიის საზღვარი გადის!

გამოსვლის დასასრულს სახელმწიფოს მეთაურს დეპუტატებმა მრავალი კითხვა დაუსვეს, რომლებსაც მან პასუხი გასცა. შემდეგ პარლამენტი შეუდგა საკითხის განხილვას.

18 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა გააგრძელა მუშაობა. დილის სხდომაზე, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, პარლამენტმა განიხილა ორი საკითხი: დაამტკიცეს საქართველოს პარლამენტის დროებითი რეგლამენტი და საქართველოს პარლამენტის წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულება.

შესვენების შემდეგ, საღამოს 5 საათზე, ამჯერად უკვე ღია სხდომაზე, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ.

შემდეგ პარლამენტარები შეუდგნენ საკითხის განხილვას, რამაც ცხარე ხასიათი მიიღო. ბატონ თენგიზ სიგუას დაუსვეს საკმაოდ მწვავე კითხვები.

19 ნოემბრის სხდომაზე პარლამენტართა თხოვნით სიტყვით გამოვიდა სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც სხდომას მოახსენა თავისი მოსაზრებანი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო საღამოს სხდომას მან წარუდგინა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურების შეთანხმებული პროექტი.

ღრმა ანალიზის შემდეგ პარლამენტმა კენჭი უყარა მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის პროექტს, რომელიც ხმების უმრავლესობით იქნა მიღებული.

პარლამენტმა აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხელისუფლებამ პარლამენტს გაწეული მუშაობის ანგარიში ჩააბაროს საგაზაფხულო სესიის პირველ სხდომაზე.

შემდეგ საქართველოს პარლამენტმა შექმნა გაგრის მოვლენების შემსწავლელი კომისია.

20 ნოემბერს პარლამენტმა განიხილა და დაამტკიცა ცალკეული სამინისტროების, დეპარტამენტების, კომიტეტების და კორპორაციების ნუსხა.

## თავდაცვის ფონდს ემატება

ახლა რომ ჩვენი სამშობლო, საქართველო დღეშია, მტერსაც არ უსურვებს კაცი, მაგრამ იმედი გვასულდგმულებს დღეს თითოეულ ჩვენგანს, იმედი შინაურ თუ გარეშე მტერზე და საკუთარ თავში ჩასახულ მტრობაზე გამარჯვებისა.

თითქმის არ დარჩენილა რაიონში წარმოება-დაწესებულება, თავისი წვლილი რომ არ გაეღო და თავდაცვის ფონდში შეძლებისდაგვარად თანხა არ გადაერიცხა.

ამასწინათ [illegible] თშორისო [illegible] ზაციამ (თავმჯდომარე ს. [illegible]რაძე) აღნიშნულ ფონდს 30 ათასი მანეთი გადაურიცხა, ფირმა „საქკომრემშენის“ ცაგერის წარმომადგენლობამ (უფროსი ა. გოგიძე) — 10 ათასი მანეთი.

დღეისათვის თავდაცვის ფონდის ანგარიშზე 212 ათასი მანეთია, ფონდი დღითიდღე ივსება ახალი შენატანებით.

## საერთაშორისო წითელი ჯვარი — ლეჩხუმელ ბავშვებს

გვსურს თუ არა, დაუკითხავად, ფეხს იკიდებს ჩვენი პატარების ყოფაში ის გასაჭირი, რომელიც ლამისაა დაუძლეველი გამხდარა უფროსებისათვის. მაგრამ, როგორადაც არ უნდა გვიჭირდეს, რა პირობებშიც არ უნდა ვიცხოვროთ, შეუძლებელი უნდა შევძლოთ, რომ ჩვენს შვილებს არ დაუკარგოთ ბავშვობის სიხალისე, ხოლო საქართველოს ჯანმრთელი, სრულყოფილი თაობა აღვუზარდოთ.

სწორედ ამ დიდ, სასიკეთო საქმეს წაადგება ის ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ მიიღო რაიონულმა საავადმყოფომ და ადგილობრივი წითელი ჯვარის ორგანიზაციამ.

როგორც, რაიონის მთავარმა ექიმმა მურმან თოთაძემ გვითხრა, საერთაშორისო წითელი ჯვრის ეგიდით საფრანგეთიდან მიღებული ჰუმანიტარული დახმარებიდან ჩვენს რაიონს გამოეყო 5.968 კილოგრამი რძის ფხვნილი და სხვადასხვა სახის ბავშვის საკვები, რაც რაიონული საავადმყოფოს მიერ განაწილდება ქალაქსა და რაიონის სოფლებში მცხოვრებ წლინახევრის ასაკამდე ყველა ბავშვზე.

ჰუმანიტარული დახმარება მიეცემათ ამჟამად რაიონის ტერიტორიაზე ლტოლვილ ბავშვებსაც, ვვარაუდობთ, რომ შევძლებთ დავეხმაროთ 100-მდე ლტოლვილ პატარას. ერთ წლამდე ასაკის ერთ ბავშვზე გასაცემი საკვების რაოდენობა შეადგენს 12 კილოგრამს, ხოლო ერთიდან ორ წლამდე 6 კილოგრამს. რძის ფხვნილი მიეცემა მხოლოდ 1,5 წლიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებს.

სასიამოვნოა, რომ ჰუმანიტარული დახმარების გარკვეულ ნაწილს, კერძოდ, რძის ფხვნილს რაიონის წითელი ჯვარი გაუნაწილებს მარტოხელა მოხუცებსა და ინვალიდებს.

## ვისაც აფხაზეთი მტრისთვის არ ემეტება

და ვისაც ფიზიკურად შეუძლია სისხლის გაღება, სამშაბათობით ელოდება რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილება. ნუ დაიზარებთ, თქვენმა სისხლმა შეიძლება ადამიანი გადაარჩინოს.

ინტერვიუ პარლამენტართან

## მურთაზ ჩაკვეტაძე: მადლობელი ვარ ნდობისთვის...

**— ბატონო მურთაზ, სამშაბათს, 17 ნოემბერს პარლამენტის სხდომა დახურულად ჩატარდა. რით განსხვავდებოდა ის სხვა სხდომებისაგან?**

— რა თქმა უნდა, განსხვავდებოდა თუნდაც იმით, რომ გაიმართა უაღრესად გულახდილი საუბარი. იყო ბევრი ისეთი ნიუანსიც, რომლის გამჟღავნება ღია ეთერში მიუღებელი იქნებოდა.

**— თუ საიდუმლო არ არის, რა ძირითად საკითხებს შეეხეთ?**

— ეს საკითხები იყო ერთიანი სტჯარისო ფორმირების შექმნა. გენერალ კამკამიძის ჩამოყვანა. ის გამოცდილი სპეციალისტია, იგი რუსეთის ჯარის ოფიცერი იყო, ამჟამად საქართველოშია. ძირითადად აფხაზეთის საკითხი იყო და ბუნებრივიცაა, რომ აფხაზეთის დეპუტატები კაკუბავა და ნადარეიშვილი აქტიურობდნენ. მწვავე პოლემიკა გაიმართა გაგრის ამბებთან დაკავშირებით. გამოითქვა არც თუ უსაფუძვლო აზრი, რომ ღალატს ჰქონდა ადგილი. ეს საკითხი ახლა გამოიძიებაშია.

**— ვინც პირადად არ გამოცდის, რაც აფხაზეთში ხდება, ალბათ, გაუჭირდება გაუგოს იქ ადამიანებს, რომლებიც იქ არიან.**

— გეთანხმებით. მე პირადად ვიყავი სოხუმში. მონაწილეობა მივიღეთ სოფელ შრომასთან გამართულ ბრძოლაში. დაგვეღუპა ერთი დეპუტატი — ნუგზარ მიხანაშვილი. ეს მართლაც საშინელებაა.

აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ედუარდ შევარდნაძემ. მან კრიტიკული პოზიცია დაიკავა ზოგიერთი მინისტრის (შეგნებულად არ ვასახელებ — ავტორი) და სოხუმის ადგილობრივი ხელმძღვანელების მიმართ.

**— ხართ კმაყოფილი ამ დახურული სხდომით?**

— არა.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ არ მიგვიღია არავითარი კონსტრუქციული გადაწყვეტილება, საუბარი უფრო ემოციური და ზედაპირული იყო.

**— კიდევ რას იტყვით ბ-ნ შევარდნაძის აფხაზეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით?**

— ბ-ნი შევარდნაძე უკმაყოფილო და უფრო მეტიც, აღშფოთებული დაბრუნდა. მან განაცხადა, რომ ხალხს არ აქვს პური, წყალი, იბომბება სოხუმი.

**— ეს უკვე ცნობილია ფართო საზოგადოებრიობისათვის. მე მაინტერესებს, ჰქონდა თუ არა შევარდნაძეს (როგორც ამბობენ) სხვა შეხვედრები?**

— არა, ის პარლამენტს ამის თაობაზე აუცილებლად აცნობებდა.

**— თქვენ თუ გაქვთ რაიმე კონკრეტული დავალება პარლამენტში?**

უშიშროების და თავდაცვის კომისიის წევრი ვარ...

**— საპარლამენტო დარბაზიდან მოუწოდებენ ხალხს დამშვიდებისკენ და ზოგჯერ თვითონ ხდებიან გაღიზიანების მიზეზნი. ვგულისხმობ ბ-ნ რომან გოცირიძის განცხადებას ფასების მომატებასთან დაკავშირებით (ჯერ სად ხართ...)**

— სწორი შენიშვნაა. რომანი ჩემი მეგობარია, მაგრამ არ შემიძლია, ამის თაობაზე არ დაგეთანხმოთ. ამ ტოტალური დეფიციტის ფონზე მას შეეძლო სხვა ფორმა მოენახა ამის სათქმელად.

**— პარლამენტში მარტო პოლიტიკოსები უნდა იყვნენ, თუ?..**

— მსოფლიოში მიღებულია, რომ პარლამენტში უმრავლესობა იურისტი, ეკონომისტი უნდა იყოს, მაგრამ ისინი პროფესიონალი პოლიტიკოსები არიან. საქართველოში პარლამენტის წევრების არჩევა განისაზღვრა არსებული მდგომარეობით, ამიტომ ვერ იქნება პარლამენტი მოწყვეტილი ხალხისაგან.

**— ხომ არ აჯობებს, ყველამ თავისი საქმე აკეთოს?**

— რა თქმა უნდა. ეს თუ გვიშველის.

**— უხერხულად მეჩვენება, აფხაზეთის ომზე საუბრის შემდეგ ლეჩხუმზეც გითხრათ რამე, მაგრამ იქაც არანაკლებ უჭირს ხალხს.**

— ვგზავნით ჰუმანიტარულ დახმარებას, ალბათ, ხვალ. წამლების გარკვეული მარაგი ვთხოვე ჯანდაცვის მინისტრს ბ-ნ მეგრელიძეს. ფულად ნიშნებზე დახმარება ვთხოვე საქართველოს ივერთბანკის მმართველს ბ-ნ კაკულიას. გავგზავნით ფქვილს. დღეს უნდა გავარკვიო პურის გაძვირებასთან დაკავშირებით კომპენსაციის გაგზავნის საკითხი...

**— საწვავი? ლეჩხუმი პრაქტიკულად მოწყვეტილია „სამყაროს“?**

— ეს ჩემზე არაა დამოკიდებული. თუ ეს მწვავე პრობლემა სახელმწიფო დონეზე გადაწყდა, ამ შემთხვევაში გაეგზავნება ცაგერსაც შესაძლებლობის ფარგლებში.

**— როდის აპირებთ ლეჩხუმში ჩასვლას?**

— ალბათ, ერთ თვეში.

**— რა გადავცე ლეჩხუმელ ხალხს, თქვენს ამომრჩევლებს?**

— პირველ რიგში, კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ნდობისათვის. მე რაც შემეძლება, თავს არ დავზოგავ. ვუსურვებ გამძლეობას ამ ურთულეს სიტუაციაში, მშვიდობას. ღმერთს ვთხოვ, შემაძლებინოს მათი იმედების გამართლება.

**— საინტერესო ინტერვიუ გამოვივიდა?**

— მე მგონი, ყველა კითხვას შეძლებისდაგვარად ვუპასუხე.

**— ნახვამდის.**

**ესაუბრა ნათია ჩიქოვანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.**

**თბილისი, 1992 წლის 18 ნოემბერი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გული, რომელიც ჩვენთვის ფეთქდა



**25 ნოემბერს შესრულდა 2 წელი ლეჩხუმის საამაყო შვილის, დიდი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის მერაბ მამარდაშვილის გარდაცვალებიდან. გთავაზობთ მისი ბიძაშვილის ქალბატონ ნაზიბროლა მამარდაშვილის მოგონებას და ლექსს.**

ამჟამად ბევრს წერენ და ლაპარაკობენ მერაბ მამარდაშვილზე, მისი ბუნებრივი ტალანტი დიდია და თავის დროზე მასზე სპეციალისტები იტყვიან, მე კი მინდა ცოტა რამ მოვუთხრო ლეჩხუმის საზოგადოებას ამ პიროვნების შესახებ, რის უფლებასაც მაძლევს გაზეთ „ლეჩხუმში" მოთავსებული ლალა ცხვედიანის წერილი რუბრიკით—„ლეჩხუმო, შენი შვილია".

მერაბის მამა კონსტანტინე (კოტე) მამარდაშვილი, მამაჩემის შუათანა ძმა (მამაჩემს, აწ გარდაცვლილ დავით ნიკოს ძე მამარდაშვილს, სოფელ ოყურეშში რომ ცხოვრობდა, კარგად იცნობდა ლეჩხუმის საზოგადოება), სამხედრო პირი იყო და ამიტომ მისმა შვილებმა რუსული განათლება მიიღეს.

მერაბის დედა ქალბატონი ქსენია გარსევანიშვილი, წარმოშობით ქალაქ გორიდან გახლდათ.

„ვიცი, მავანი არ დამეთანხმება, მაგრამ რამდენადაც მე ყოველთვის ქართველად ვგრძნობდი თავს, იმდენად საკუთარ თავს არქაულ და თანამედროვე სამყაროში უადგილოდ ვგრძნობდი!"

„საქართველოში უნდა აღვადგინოთ სიცოცხლისეული ენერგიების ბუნებრივი გაცვლა-გამოცვლა, თავისუფალი შრომა, რომელიც გულისხმობს კერძო საკუთრებას, და რომელიც საოცრად ემთხვევა თავისუფლებისმოყვარე ქართულ ხასიათს. სწორედ მისმა დაკარგვამ გამოიწვია ქართველებში მონური მენტალიტეტის განვითარება".

მერაბი გორში დაიბადა 1930 წლის 15 სექტემბერს. მათი ოჯახი ომის შემდეგ ძირითადად თბილისში ცხოვრობდა. აქ დაამთავრა მერაბმა საშუალო სკოლა, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი და ასპირანტურა, დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ოყურეშში ჩვენს ერთიან დიდ ოჯახში, სადაც ძველი ქართული ტრადიციული ურთიერთსიყვარულისა და უმცროს-უფროსობის სული სუფევდა, ახლობლები ზაფხულობით იყრიდნენ თავს. ჩვენ, უმცროსებს მერაბის ბავშვობაზე უფროსები გვიყვებოდნენ. ამ საუბარში დიდი პატივისცემა იგრძნობოდა მისდამი. უფროსი ბიძაშვილები მერაბის აზრების ტყვეობაში იყვნენ. ღირსი, სიმართლის მოყვარე, კეთილი, თავმდაბალი, უპრეტენზიო, ალიერი, უშიშარი, ნიჭიერი, წარმოსადეგი, უანგარო, ბუნებისა და წიგნის მოყვარული—აი, რა სიტყვებით ამკობდნენ მას. ჩემს მეხსიერებაში იგი სტუდენტობის დროიდან ცოცხლობს.

მერაბის მამამ მთელი ცხოვრება არსებულის რწმენით იცხოვრა (შვილებსაც ასე ზრდიდა) პენსიაში გასვლის შემდგომ დაუბრუნდა სოფელს და მეურნეობას ეწეოდა. დღეს, როცა მისი განათლების სიღრმეს ვიგონებ, ვერ დავიჯერებ, რომ შვილს არ თანაუგრძნობდა, მაგრამ ბევრის მომსწრე იყო და დუმდა. მან უეჭველად იცოდა, რომ მერაბის ტალანტი საბჭოურ ჩარჩოში ვერ მოთავსდებოდა და მისი ყველაზე დიდი სადარდელი ეს იყო. ჯერ ისევ ჭაბუკი წავიდა ბიძაჩემი ამ ქვეყნიდან და შვილის მიერ არჩეული ძნელი გზა დარდად გაიყოლა.

მერაბი სამშობლოს გარეთ მოღვაწეობდა, თბილისში დროდადრო ჩამოდიოდა. მისი მსოფლმხედველობა საქართველოში არ ვრცელდებოდა, თვითონ კი თავის თავზე არასდროს ლაპარაკობდა.

1980 წლიდან მერაბი თბილისში (ფილოსოფიის ინსტიტუტში) მოღვაწეობს.

„არც საბჭოთა კავშირი და არც რუსეთი არ იყო ის, რისთვისაც მე ჯვარზე ავიდოდი, მე არ ვარ სოციალ-აქტივისტი, ფილოსოფოსი ვარ და ბარიკადებზე გასვლას არ ვაპირებ. ამიტომ უნდა წავსულიყავი, თბილისი კი ამ შემთხვევაში იყო მხოლოდ დასაწყისი ჩემი მოხეტიალე ცხოვრებისა. გარდა ამისა, ვგრძნობდი უდიდეს მოვალეობას დედაჩემისა და ჩემი დის წინაშე, რაც შეეხება პასუხისმგებლობას საქართველოს წინაშე, ეს ჩემი საქმეა. ყველა ქართველი ისე შეიგრძნობს თავის ქართველობას, როგორც მე—ჩემსას. საკუთარი თავი არ უნდა გახადო ქართველობის კრიტერიუმად, ეს მკრეხელობაა". (მერაბ მამარდაშვილი).

ჩვენთვის, მისი ახლობლებისათვის, დიდი ბედნიერება იყო მასთან შეხვედრა. მე პირადად ისეთი გონიერება და ადამიანური სიღრმე არავის სახეზე არ შემინიშნავს. თვალები კი, დიდი ცისფერი თვალები ნამდვილი სარკე იყო მისი ღრმა სულისა.

თანდაყოლილი პატიოსნება, ნიჭიერება და დიდი შინაგანი კულტურა, ქცევის ბუნებრიობა, ღირსების უმაღლესი დონე, უანგარობა, ღრმა სიყვარული ადამიანისა მას განუმეორებელ პიროვნებად სახავდა და მასთან ხელახლა შეხვედრის სურვილს აღძრავდა, მაგრამ ჩვენ რამდენადმე ვცდილობდით, რომ მისი სულიერი მყუდროება არ დაგვერღვია, რადგან გვესმოდა არსებულთან შეუთავსებლობის მისი მძიმე განცდა და გონებრივი ხედვის უსასრულობა, რომელსაც ადამიანთა შორის ერთეულებს უბოძებს ბუნება (თუ ამ კუთხით შევხედავთ მის პიროვნებას, ის ამ საუკუნის უბედნიერეს კაცად შეიძლება ჩაითვალოს) ყველაფერ ადამიანურს, მწუხარებას თუ სიხარულს ის ჩვეულებრივზე ღრმად განიცდიდა, მაგრამ ფილოსოფია მისთვის ყველაფერი იყო. „ორი რამ მიყვარს ამ ქვეყანაზე და შეიძლება მათთვის გავწირო თავი—თავისუფლება და ფილოსოფია" (მ. მამარდაშვილი).

„ჩვენი თავი დავკარგეთ. წარმოგიდგენიათ კორუმპირებული სწავლა?—ეს ჩამორჩენილ პატრიარქალურ საზოგადოებაში ე. წ. „მესამე სამყაროშიც" კი არ არსებობს, რადგან მასწავლებლის ხატი ხელშეუხებელი რჩება. მედიცინა? ექიმი? ჰიპოკრატეს ფიცის სუბიექტი?! განა დასაშვებია ეს? სიმართლეზე საერთოდ ნუ ვილაპარაკებთ. აღმოსავლური ბიზანტიზმი შეერწყა სოციალისტურ დემაგოგიას და უსამართლობას. ასეთი შერწყმით მივიღეთ ბირთვი, რომლის გასკდომამ გამოიწვია ჯაჭვური რეაქცია სულსა და ზნეობაში და ყველაფერი წალეკა.

ილიას მკვლელობა იყო წერტილის დასმა და ფიზიკური სიმბოლო იმ სულიერი შინაგანი პროცესებისა, რომელიც ქართველობაში მიმდინარეობდა. ერი გადაუდგა ილიას გზას...

როცა ვამბობ, რომ არქაული, ლამაზი, მაგრამ უადგილო ერი ვართ—მეთქი, იმასაც ვგულისხმობ, რომ ჩვენს წინაშე დგას ამოცანა—გავხდეთ თანამედროვე ერი—სახელმწიფო, რომელიც არის არა ეთნოსი, არამედ ინდივიდების კრებული. უნარი და თვისება რომ აქვთ იყვნენ მოქალაქეები ე. ი. განვითარებული სამართლებრივი ცნობიერების და უნარის მატარებლენიც".

გაზვიადებად ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ თუკი ქართულ გენს შეუძლია, შობოს ისეთი მხურვალე გულის, ფაქიზი სულის, ვაჟკაცური შემართების და ულრმესი ტალანტის ადამიანი, როგორიც მერაბ მამარდაშვილი—იყო, მაშინ ქართველ ხალხს გადაშენება არ უწერია.

ადამიანი, რომელსაც იმ დონეზე აქვს სიმართლისა და თავისუფლების შეგრძნება, როგორც მერაბს ჰქონდა, რა თქმა უნდა, ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში თავის სიტყვას იტყოდა.

**„ეროვნული დამოუკიდებლობა საჭიროა, როგორც მინიმალური და ამავე დროს აბსოლუტური პირობა იმისა, რომ დავინახო ჩემი თავი, ქართველებმა დავინახოთ საკუთარი თავი, დავინახოთ, რა დაშავდა ამ საუკუნეების მანძილზე... ეროვნული განწმენდის ერთ-ერთი პირობაა ჩვენი დამოუკიდებლობა." (მ. მამარდაშვილი)**

მერაბი მთელი შემოქმედებით და ცხოვრებით ადამიანურ მანკიერებებს ებრძოდა, ბოროტებას და უზნეობას ამხელდა, თავის ხალხს სულიერი განწმენდისაკენ მოუწოდებდა. მას ეკუთვნის სიტყვები—„იპოვე სიმართლე, უთხარი შენს ხალხს!"

მერაბის პიროვნებაში განსხეულებული იყო ყველა ის საუკეთესო თვისება, რითაც ქართველი კაცი ბუნებამ დააჯილდოვა. ის ორი წელია ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ დაგვიტოვა მარადიული სული თავისი ნააზრევის სახით, რომელიც ერის უკვდავებას საუკუნის მოთხოვნაზე მაღლა ემსახურება და ხვალისათვის ის მაგარი ქვა იქნება „ჩვენის ცხოვრების საძირკველში", დიდი ილია ერის უკვდავების საფუძვლად რომ მიიჩნევდა.

ვინც მერაბი უკანასკნელ გზაზე მიმავალი იხილა, დამეთანხმება, რომ სიკვდილსაც ვერაფერი დააკლო მისი გარეგნული ღირსებისათვის. იწვა მშვიდი, დიდებული იერით, გეგონებოდა, სადაცაა წამოდგებაო. რამდენიმე თვის შემდეგ მძიმე სენით შეპყრობილმა მამაჩემმა გარდაცვალების წინ ინატრა—კაცი ისე უნდა მოკვდეს, ზეზე მდგარი და მოაზროვნე, როგორც ჩემი ძმისშვილი!

„ჩვენი ისტორია და ტრადიცია არის ქრისტიანული. ევროპა, ამ გაგებით შედეგიანი ქრისტიანული ექსპერიმენტია. ევროპული კულტურა არის გამარჯვება ქრისტიანობისა, იმ გაგებით კი არა, რომ ხალხი ეკლესიაში დადის. ქრისტიანული სულის კრისტალიზაცია სულ სხვანაირად ხდება ევროპულ ინსტიტუციებში, სადაც შეიძლება არ იხსენიებოდეს ღმერთის სახელი, მაგრამ იგი რეალიზებულია ურთიერთობაში, ნორმებში. ადამიანებმა ამ ექსპერიმენტის ფარგლებში ააწყვეს ნორმალური ცხოვრება. ჩვენ მოვწყდით ამას, რადგან დაგვაწვა აზიური ტირანია და მერე რუსეთის ველში შევედით, რომელიც სხვანაირად არის დასტრუქტურებული. მე ვიტყოდი, რომ რუსეთში ქრისტიანულმა განათლებამ მარცხი განიცადა. ჩვენ ახლა ან აღვადგენთ ამ ევროპულ აზროვნებას ან დავიღუპებით".

აი, როგორ იხსენებს მერაბს ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი ჟან კატალი: „მერაბ მამარდაშვილი, რომელიც ზედმიწევნით ფლობდა ათამდე უცხო ენას, ამავე დროს საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტი იყო. მას უყვარდა თქმა „ჩემი—თბილისი—ეს მთელი მსოფლიოა!"... სწორედ თავის ბედის ერთგული დარჩა მერაბ მამარდაშვილი ბოლომდე. იგი არასოდეს არ ჩიოდა, არ უყვარდა როდესაც მას შეიცოდებდნენ."

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ჩემი და ჩემი სოფლის სახელით (რომელიც მუდამ იამაყებს მერაბ მამარდაშვილის ხსოვნით) მინდა მადლობა ვუთხრა იმ ადამიანებს, ვისაც ესმოდა მისი, გვერდით ედგნენ და შეძლებისდაგვარად თანაუგრძნობდნენ ამ ღირსებით სავსე ადამიანს.

## მერაბ მამარდაშვილის გახსენება

„თავისუფლებავ, შენ ხარ
კაცთა ნაცთამაყუდარი".
ილია

„თქვენი, რომელთა გატაცება
მხოლოდ ჟინია,
მე არც წარსულის, არც
მომავლის არ მეშინია"
გალაკტიონი

„თავისუფალი ვარ, რათა
ვიბრძოლო თავისუფლებისათვის
მ. მამარდაშვილი

თითო-ოროლა გაუსწორებს
თვალებს დროს მშვიდად,
ჩაიფერფლება, რათა
შემდგომ თაობებს ენთოს,
ყოფიერების ფაცა-ფუცში
ილევა ჟამი,
კუთვნილს თავისას რჩეულები
მიიღებს ერთ დროს.
ცხოვრების დამართს
უნაყოფოდ უმზერს ბევრი,
ჭეშმარიტებას ძალადობის
მარყუჟი უჭერს,
არავითარი კომპრომისი,
არც რამე შვება,
სიბნელე ტლანქად დასწოლია
რჩეულებს გულზე.
ზუმბერაზები ვერ იტყვიან—
თეთრია შავი,
უღელქვეშ აზრი ყოველგვარი
იქცევა ჭორად,
ულმობელი დრო კოჭლ
ცხვარსაც კი წინ დააყენებს,
ცრუ იდეალზე დაიფიცებს
ბეჩავი მონა.
შებრძოლებიან ტიტანები
ცხოვრებას აზრით,
მარადისობის სუნთქვისათვის
გოლგოთა ელით,
ჭეშმარიტება საწამ სუნთქავს,
ფიქრობს და ამბობს,
მანამ ცოცხალი და უკვდავი
იქნება ერი.
დრო, ეს ტიტანთა საწამები
ჯალათის კუნძი
თაკის ზიგზაგებს ამოავსებს
რჩეულთა სულით.
ღვთისგან ბოძებულს ღმერთი
მშვიდად წაიღებს უკან
და უსასრულოდ წამებული
ჩერდება გული.
გული, რომელსაც თითოეული
ჩვენგანი ვფლეთდით,
გული, რომელიც ჩვენთვის
ფეთქდა, თავი რომ გვეცნო,
თუ გაგვაჩინე, დაგვენიშნა
რალაცა ზღვარი,
ამ უსაზღვრობით რას
გვაწამებ, მაღალო ღმერთო...

**ნ. მამარდაშვილი.**
**1992 წლის 15 სექტემბერი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იჯარა და მოიჯარე

იჯარა არაბული სიტყვაა და ნიშნავს უძრავი ქონების, შენობის, მიწის დროებით დაქირავებას სათანადო ხელშეკრულების დადებით, სადაც აღნიშნულია გადასახადის რაოდენობა. შრომითი საქმიანობის ეს სპეციფიკური სახე მონათმფლობელობის პერიოდიდან არსებობს. რადგან მონა არ იყო დაინტერესებული შრომის ნაყოფიერების ზრდით და პირიქით, ხელსაყრელ მომენტს ეძებდა შრომის იარაღების გასაფუჭებლად, მონათმფლობელთა ელიტა იძულებული გახდა თავისი კუთვნილი მიწები პატარა ნაკვეთებად დაეყო და მონებისათვის იჯარით გადაეცა. ამ წესის შემოღებით ზედმეტი გახდა მრავალი მაკონტროლებელი და დამსჯელი აპარატის არსებობა, გზა გაეხსნა წარმოებითი ურთიერთობის ახალ წესს.

ამრიგად, იჯარული ანუ კოლონატის სისტემის შემოღებით მოხერხდა საწარმოო ძალების წარმოებით ურთიერთობასთან გარკვეულწილად შესატყვისობაში მოყვანა, რაც დამთავრდა არსებული წყობილების შეცვლით, ასეთი ლოგიკა ახასიათებს ყველა ფორმაციას, მის შიგნით მიმდინარე პროცესებს.

რაც შეეხება სოციალიზმს, იგი თავიდანვე საწარმოო ძალების წარმოებით ურთიერთობასთან შესატყვისობის მუდმივი სრულყოფის პრეტენზიით მოვიდა. წარმოების საშუალებების სოციალიზაციამ პირველ ეტაპზე დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია, თანაც მონახული იქნა შრომითი საქმიანობის დროებით გააქტიურების სხვადასხვა ფორმები, მაგრამ დაწყებული აღტკინება შემდგომ თანდათან შენელდა. მითუმეტეს 50-იანი წლების II ნახევრიდან ყურადღების გარეშე დარჩა უპირველესი საკითხი — ქვეყნის საწარმოების აღჭურვა უმაღლესი ტექნიკით, რის გამო პროდუქციის უხარისხობამ, არა მარტო ქვეყნის შიგნით, მის გარეთ დასცა სისტემის ავტორიტეტი. მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი დარჩა. დაპირებები ფიქცია აღმოჩნდა.

განსაკუთრებით ჩამორჩა სოფლის მეურნეობა. კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად გადაკეთებამ საქმეს ვერ უშველა. მრავალრიცხოვანი ბიუროკრატიული აპარატები ერთ მთლიანობაში ყაზარმული სოციალიზმის მასულდგმულებელ ძალად იქცნენ. გლეხის კისერზე აღმოჩნდნენ: რგოლის ხელმძღვანელი, ბრიგადირი, აგროტექნიკოსი, აგრონომი, ბუღალტერი, ეკონომისტი, საწყობის გამგე, მოლარე, ფერმის გამგე, თავმჯდომარე თუ დირექტორი, ერთი სიტყვით, მთელი ჯგუფი „მაღალი გემოვნების" ადამიანებისა, რომლებიც წარმოადგენდნენ რაიონული და ა. შ. შესაბამისი სამსახურების საყრდენს. არადა უქმი მჭამელის რჩენა, როგორც მათ ხალხი ეძახდა, თანაც პრიმიტიული შრომითი იარაღებით, გლეხობას გაუჭირდა. მითუმეტეს საკარმიდამო მიწა 0,25-დან 0,5 ჰექტარამდე ძლივს აღწევდა და მას თვლიდნენ დამხმარედ, ხოლო მთელი ყურადღება საზოგადოებრივი მეურნეობის გაძლიერებისაკენ იყო მიპყრობილი, რომელიც გლეხის მოთხოვნილებებს მინიმალურად ვერ აკმაყოფილებდა. არადა მას ხომ წაართვეს ვარგისი მამა-პაპისეული მიწები. ჩამოართვეს გამწევი ძალა, მკაცრი რეგლამენტირებით განუსაზღვრეს მეცხოველეობის სულადობა. გლეხობის საგრძნობმა ნაწილმა ვერ გაუძლო ასეთ შეზღუდვებს და გაეცალა მშობლიურ სოფელს.

ბოლო ათწლეულებში საჭირო გახდა სამუშაოდ მუშახელის ძალით გაყვანა. არც თუ იშვიათად იყენებდნენ მეუფე პოლიტიკის ზეგავლენით სასჯელის სხვადასხვა ფორმებს. აშკარა შეიქმნა არსებულ წარმოების წესში ცვლილებების შეტანის საჭიროება. დაიწყეს მიწების ნაკვეთებად დანაწილება და მუშახელზე მიმაგრება, მაგრამ ამანაც ვერ უშველა საქმეს, რადგან წილის მიღების საკითხი არ იყო გადაჭრილი, რის გამო კიდევ უფრო გამწვავდა მდგომარეობა, დაიწყო მიწერები და თვალისახვევის შემთხვევები. მდგომარეობიდან გამოსავალი იჯარული წესის შემოღებაში იგულვეს და კიდევაც სცენაზე გამოჩნდა კრიზისიდან ნაწილობრივ თავის დაღწევის პირველი მაცნე. სოციალისტური სოფლის მეურნეობა გაკოტრდა, ქვეყანა გადავიდა განვითარების ახალ რელსებზე.

ადრე სოციალიზმის დამკვიდრებისათვის მიწების ჩამორთმევის მავნე გადაწყვეტილებას დღეს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა უპირისპირებს სამართლიანობის პრინციპს, მიწას უბრუნებს მის ყოფილ მეპატრონეს დადგენილი ნორმის ფარგლებში, თუ ის არ არის გამოყოფილი ვინმეს საკარმიდამოდ ან დაწესებულების კუთვნილებად. ჰოდა დღეს მიწის ყოფილი მეპატრონე კანონის აღსრულებას ითხოვს.

მიწის პრივატიზაციის კანონით კი მოიჯარეს არა აქვს იჯარით აღებულ მიწაზე არც მორალური და არც იურიდიული უფლება. ისიც სათქმელია რომ ბოლო წლებში უგულვებელყვეს საიჯარო ვალდებულებები და მთელი მოსავალი შინ წაიღეს.

დღეს საქართველოს პარლამენტის სხდომებზე სამართლიანად გაისმის საყვედურები მიწის პრივატიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე, დროა იგი დაჩქარდეს.

ი. გიორგელიძე,
დოცენტი
სოფ. ოყურეში.

# ხანძარი რომ ავიცილოთ

ახლა უჭირს საქართველოს, ფაქტიურად რესპუბლიკა ომის მდგომარეობაშია. აფხაზი ექსტრემისტები, მთიელი კონფედერანტები, რუსეთის რეაქციული ძალების დახმარებით იბრძვიან რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისათვის, რისთვისაც არ ერიდებიან ადამიანთა მსხვერპლს, ცეცხლს მისცეს საზოგადოებრივი თუ კერძო შენობა-ნაგებობანი, წარმოება-დაწესებულებათა შენობები თუ სკოლები. ყოველივე ამან მძიმე ეკონომიკური სიძნელეების წინაშე დააყენა რესპუბლიკა. ზამთარი კარს მოგვადგა, მაგრამ როგორც წარმოება-დაწესებულებათა, ისე სკოლების თუ მოსახლეობის მეტი წილი მოუმზადებელი ხვდება ზამთარს. საწვავის დეფიციტის გამო ეტყობა არ იმუშავებს ქალაქში ცენტრალური გათბობა, სკოლებში ვერ შემოიზიდა ქვანახშირი. ამიტომ გათბობისათვის ძირითადად გამოყენებული იქნება ელექტროენერგია და შეშაზე მომუშავე თუნუქის ღუმელები.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ხანძრები როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სექტორში, საჭიროა დროულად ჩაატაროთ წარმოება-დაწესებულებებსა და საცხოვრებელ ბინებში ის აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო სარემონტო სამუშაოები, რაც სრული გარანტია იქნება სახანძრო უსაფრთხოებისა.

სრულ წესრიგში იქნას მოყვანილი გამთბობგამანათებელი საშუალებები, ელექტრო გაყვანილობა, მოეწყოს ელექტროტექნიკური ნორმებისა და წესების დაცვით, შეიცვალოს ხანდაზმული უვარგისი ელექტროსადენები ახლით, ელექტრო სადენები ხის ტიხრებში გავლისას ჩაისვას ებონიტის ან ფაიფურის მილებში არ იქნას გათბობისათვის გამოყენებული თვითნაკეთი კუსტარული წესით დამზადებული ელექტრო ენერგიით, ადვილად აალებად სითხეებზე მომუშავე ღუმელები, ასევე გაუმართავი სხვადასხვა ელექტროგამთბობი საშუალებები;

შეშაზე მომუშავე თუნუქის ღუმელები წარმოება-დაწესებულებებში და მოსახლეობაში მოეწყოს უსაფრთხოების წესების შემდეგი მოთხოვნებით — თუნუქის ღუმელებს ხის იატაკზე დაეფინოს თუნუქის ფურცლები აზბესტის შუაფენით (70—50 სმ ზომის) საკვამლე მილები გაყვანილი იქნას შენობის გარეთ და მოხვეულით გაუკეთდეს ნაპერწკალმჭერი. ხის ან ფანჯრის ჭრილებში გავლის ადგილებში ღუმელის საკვამლე მილებისათვის გაკეთდეს განმხოლოება 18—18 სმ ზომის. წვადი საგნებიდან გამთბობი საშუალებები მოცილებული იქნას არა ნაკლებ ერთი მეტრისა. არ დაუშვათ გამთბობი საშუალებების გამოყენება მეთვალყურეობის გარეშე და მცირეწლოვანი ბავშვების ამარა.

ძვირფასო მოქალაქენო! კარგად მოგეხსენებათ, რომ უმეთვალყურეობითა და დაუდევრობით შეიძლება გაჩნდეს ხანძარი და განადგურდეს დიდძალი სახელმწიფო ან პირადი ქონება, მოჰყვეს ადამიანის მსხვერპლიც. ამიტომ ერთხელ კიდევ ვამახვილებთ თქვენს ყურადღებას სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვაზე, რაც თავიდან აგვაცილებს ხანძრის გაჩენის საშიშროებას.

ლ. მეშველიანი,
ცაგერის რაიონის სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი, შ ს კაპიტანი.

# სასამართლო დარბაზიდან

დღეს საქართველოში მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობაა. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ქურდობა, ბანდიტობა, მკვლელობა, ზოგიერთებმა ადამიანთა მოტაცებაც კი დაიწყეს ფულის გამოძალვის მიზნით.

სწორედ ეს ქონდათ დაგეგმილი თბილისელ მერაბ გურამის ძე დოლიძეს და ქუთაისელ ავთანდილ სევარიონის ძე ხვადაგიანს, როდესაც ბოროტი განზრახვით მიმდინარე წლის 11 მაისს ეწვივნენ ცაგერს. ავთანდილ ხვადაგიანის წინადადებით შეთანხმდნენ, რომ მოეტაცებინათ ქალაქ ცაგერში მცხოვრები კარლო მუშკუდიანი. ამ მიზნით ისინი ჩავიდნენ მდინარე ჯონოულის ხეობაში, მუშკუდიანის სამუშაო ადგილზე, სადაც კ. მუშკუდიანი სასაუზმოდ მიიწვიეს მამუკა თვარაძის ავტომანქანაში, რომელიც შემდეგ ხვადაგიანმა ავტომატის გამოყენების მუქარით ჩამოსვა ავტომანქანიდან. საჭესთან დაჯდა ნაგანის სისტემის პისტოლეტით შეიარაღებული დოლიძე. მათ კარლო მუშკუდიანი წაიყვანეს და დამალეს სოფელ ღვედის მახლობლად „ბარიტის" საბადოსთან მდებარე ტყეში. მისგან მოითხოვეს ჯერ ხუთასი ათასი, ხოლო შემდეგ ორასი ათასი მანეთის გადახდა. ამ წინადადების შემდეგ ხვადაგიანი წამოვიდა ცაგერში მუშკუდიანის ოჯახის წევრებისათვის ფულის გამორთმევის მიზნით, ხოლო მეთვალყურედ დატოვა დოლიძე, რომელსაც გადასცა ავტომატური იარაღი და ერთი ხელყუმბარა, თან დაუბარა — მისი დაგვიანების შემთხვევაში მუშკუდიანი მოეკლა.

ხვადაგიანის დაგვიანების გამო დოლიძემ შესთავაზა მუშკუდიანს, რომ შებინდებისას სახლში გაუშვებდა, თუ ფულს მოუტანდა დანიშნულ ადგილზე.

შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკთა ოპერატიული მოქმედების შედეგად დოლიძე იქვე დააპატიმრეს, ხოლო ხვადაგიანი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, რის გამოც მის მიმართ საქმე გამოიყო წინასწარ გამოძიებაშივე.

ამას წინათ ცაგერის რაიონის სასამართლომ ქუთაისის საგამოძიებო იზოლატორში განიხილა მერაბ გურამის ძე დოლიძის საქმე და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 12 წლით სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ლ. გურგუჩიანი,
ცაგერის რაიონის მოსამართლე.

# ძვირფასო მკითხველო!

დღეს ჩვენს ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობაა, ომია, იღუპებიან ადამიანები, ახალგაზრდები, შინაური თუ გარეშე მტერი ერთბაშად უტევს საქართველოს. ამ სიტუაციაში გვიმძიმს და მკრეხელობადაც მიგვაჩნია გაზეთის გამოწერაზე საუბარი, მაგრამ არც ის ივარგებს, უყურადღებოდ დავტოვოთ. გაზეთი ნებისმიერ დროს, და მით უფრო დღევანდელ სიტუაციაში, ისიც რაიონული, მშობლიური, თქვენი ინფორმატორია, თქვენი ჭირისა და ლხინის თანაზიარი, ამდენად ჩვენის აზრით, ჰაერივით საჭიროა თითოეული ჩვენთაგანისათვის.

გაზეთების გამოწერა დაიწყო. ალბათ ბევრს გაგიჩნდებათ სურვილი გამოიწეროთ „ლეჩხუმი". გამოწერა შეგიძლიათ 1 წლით, 6 თვით. წლით ჩვენი გაზეთის ფასი 100 მანეთია. გვესმის რა უმრავლესობის დღევანდელი საოჯახო ბიუჯეტის სიგრძე—სიგანე, ესაა ძალზე შეღავათიანი ფასი იმ ხარჯებთან შედარებით, რაც ქაღალდს, პოლიგრაფიულ მომსახურებას თუ სხვა აუცილებელს მიაქვს.

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო. ხელმოწერა რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმზე" დაიწყო. მისი გამოწერა მიმდინარეობს ჩვენთან, რაიონული გაზეთის რედაქციაში ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში.

თქვენი თანადგომის იმედი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გვაქვს.

გამოიწერეთ გაზეთი „ლეჩხუმი", ლეჩხუმელებო!

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გილოცავთ

**მაია ახვლედიანს, მირზა დავითულიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**ნინო ხვადაგიანი ოჯახით.**

**მაკა ვიტალის ასულ ხეცურიანს გია იუზას ძე თევდორაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იბედნიერეთ.

**ბიჭიკო ქარსელაძე, თენგიზ მეშველიანი ოჯახებით.**

**ლამზირა ონიანს, ემზარ ლიპარტელიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახის თანამგზავრი მარადჟამს.

**ლელა, სალომე ონიანები, გიორგი' რატი ჯამბურიძეები.**

**მაკა, მარინე, ელგუჯა ფალავანდიშვილებს გოჩა, ნუნუ მეშველიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაგიზარდოთ სასახელო ვაჟკაცი.

**მარინე, გია, ვალენტინა, ხათუნა' ჯიმიკო გიორგობიანები.**

**დალი, ნოდარ კაჭკაჭაშვილებს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.

**კავშირგაბმულობის ლაილაშის განყოფილების თანამშრომლები.**

**გულო, ვიტალი ხეცურიანებს**

გილოცავთ მაკას ბედნიერებას, ვუსურვებთ კეთილ მომავალს.

**თენგიზ მეშველიანი, ბიჭიკო ქარსელაძე ოჯახებით.**

**დოდო კაჭკაჭაშვილს**

გილოცავთ შვილიშვილის, ნანას ბედნიერებას. ღმერთი იყოს მისი და მისი ოჯახის მფარველი.

**ცაგერის № 2 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები.**

**ზვიად ამირანის ძე მუშკუდიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

**ნატო, ეკა, ნელი' ავთო მუშკუდიანები.**

**შუქურა, ანზორ, ციცინო' გახვა ბენიძეებს ლენა, ჟორა ყურაშვილებს**

გილოცავთ პატარა გოჩას დაბადებას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.

**ნელი, ვაჟა, გია, რამაზ ყურაშვილები' ქეთინო ოჯახით.**

**ელისო, ამირან გურგუჩიანებს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ ღირსეული ქართველი ქალი.

**ლაშა ბურჯალიანი ოჯახით.**

**მადონა, ზაურ ომანაძეებს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. ლაგბედებოდეთ ბედნიერი მომავალი.

**ლაშა ბურჯალიანი ოჯახით.**

**მადონა, ზაურ, დაშა ომანაძეებს დადაში, ჩიტო მაღრიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ სასახელო ვაჟკაცი.

**ზოია, ზურაბ, რეზო ომანაძეები.**

**იზოლდა, ჯემალ ონიანებს**

გილოცავთ შვილიშვილების შეძენას. აღიზარდონ ღირსეული ვაჟკაცები.

**ლაშა ბურჯალიანი ოჯახით.**

**მადონა, ზაურ ომანაძეებს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. იხაროს თქვენმა ფუძე-კერამ.

**მედიკო, გივი ახვლედიანები.**

**მარინე, ელგუჯა ფალავანდიშვილებს მაკა, გოჩა მეშველიანებს**

გილოცავთ შვილიშვილის და შვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი. გფარავდეთ ღმერთი.

**№ 2 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები.**

**ნანა შაქროს ასულ შკუბულიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

**იზა და ნატო.**

---

მარინე ბურჯალიანი, მარინე სვანიძე, ლალი ხვადაგიანი, როსტომ სალინაძე, მირიან ჩიქოვანი თანაუგრძნობენ ელეონორა სვანიძეს დედის

**სონა ხვადაგიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მარინე ბურჯალიანი, მარინე სვანიძე, ლალი ხვადაგიანი, ქეთინო ბერიძე' თემურ ახვლედიანი თანაუგრძნობენ სოზარ ლარცულიანს ბებიის

**ნადია ლარცულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

## ხსოვნა

## დავით ნიკოს ძე მამარდაშვილი



ოთხმოც წელს მიტანებული ერთი წლის წინათ წახვედი ჩვენგან. ნამდვილი ქართველი იყავ, მიმტევებელი, მგრძნობიარე და შრომისმოყვარე. მთელი არსებით გასცემდი და სამაგიეროდ არავისგან ითხოვდი. სახეზე გეხატა ადამიანობა, მუდამ წონასწორობას ინარჩუნებდი და გარეგნულად აუღელვებელი ჩანდი, ზოგჯერ სუსხიც დაკრავდა შენს იუმორს, მაგრამ ბოროტების, შურისა და ღვარძლის არაფერი იცოდი.

უზომოდ გახარებდა ყველა შენი ყოფილი მოსწავლის წარმატებები და მათთან შეხვედრა.

მძიმე სენით შეპყრობილს წუთით არ დაგვიწყნია, რომ შენს შემდეგაც გაგრძელდებოდა ცხოვრება და ჭოვონებებში ღირსეულად უნდა გეცოცხლა. იმ გაუსაძლისი ტკივილების დროსაც არ დაგიკარგავს შენი ადამიანური სახე. გეძნელებოდა სიცოცხლის დათმობა, რადგან მთელი სიცოცხლე ადამიანების საკეთილდღეოდ ცხოვრობდი, ბოლო ამოსუნთქვამდე საკუთარი ტვირთი არავისათვის დაგითმია, მოკრძალებული და შეჭრთალი, ხომ ზედმეტად არავინ შევაწუხეო, ილებდი შენი კაი კაცობით მომკილ ყურადღებას.

მარადიული სამყოფელი თვითონ აირჩიე და ისე მშვიდად განისვენე, სიკვდილის შიშიც გაგვინელე. ისევ ჭარტო განისვენებ ახალ სასაფლაოზე, რომელსაც შენ დაუდე სასუფეველი, ხოლო შენი მართალი სული ღმერთს შესთხოვს, რომ იმ წმინდა ადგილზე უდროოდ არავინ დაეწკვიდროს.

**ოჯახი.**

---

გუგული ნემსწვერიძე, რუსიკო არჯევანიძე, ლალი ჩხეტიანი' ლილი გურგუჩიანი, ირინე მამალაძე, დაშა კვირკაშვილი' ნაზიკო კოპალიანი, თამარ ალათიანი, ნინელი მუშკუდიანი მარინე კოპალიანი, ლამზირა სალინაძე თანაუგრძნობენ ნანუშა ონიანს დის

**თინა ონიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები აქსენტი, თამარი' ლილი, რძლები ტატიანა ყურაშვილი, ნაზიკო ჭოჭუა' სიძეები, შვილიშვილები' შვილთაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ივლიტა ნიკოლოზის ასული ირემაძე—სვანიძე**

დაკრძალვა 28 ნოემბერს შაბათს, სოფ. ცხეკუშერში.

---

კინოფიკაციის თანამშრომლები ნელი ლეთოდიანი, ფუთუთ კაჭკაჭაშვილი, მარინე შკუბულიანი, ბორის, ამირან ხეცურიანები, გოგი კოპალიანი' ავთანდილ ხაბულიანი, თამაზ' ზურაბ ბენდელიანები, თამაზ თაგვაძე თანაუგრძნობენ ოჯახს

**სონა ხვადაგიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ ლურჯუმალიძე ოჯახით თანაუგრძნობს ვენერა სალინაძეს მეუღლის

**ბოგდან ჭელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ ჩაჩხიანი, ბორის ხეცურიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ვენერა სალინაძეს მეუღლის

**ბოგდან ჭელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

გივი ბენდელიანი ოჯახით თანაუგრძნობს მაია, ბაკო შკუბულიანებს ბებიის

**სონა ხვადაგიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ოთარ, მევლუდ ლიპარტელიანები' ელგუჯა, ნელი ლეთოდიანები, ბუჭუ ფუტკარაძე' ომარ ქარუმლაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჟორა ლარცულიანს დედის

**ნადიას**

გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახს

**სონია ხვადაგიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ლედი, დალი' მაყვალა' ბორისი, რაული ლეილა მიქაძე' და ელენე, სიძეები ალიკო ფალავანდიშვილი, ზურაბ მწყერაშვილი, ელგუჯა ტორაძე' გურამ სივსივა, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ძმისშვილები' დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თადეოზ ანტონის ძე სილაგაძე**

---

შვილები ლია, ლეილა, ძმები ვალიკო, ლევანი' ძმისშვილები, ბიძაშვილები, ბიძაშვილისშვილები, რძლები' შვილიშვილები, სიძეები ზაურ ასათიანი, ავთო კალანდაძე, ცოლისძმა დემურ ხეცურიანი, ცოლისდა შუშანა სალინაძე იუწყებიან

**შალვა ლაზარეს ძე მუშკუდიანის**

გარდაცვალებას.

---

ლუხვანოს საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ხათუნა კოპალიანს

**ზაალის**

გარდაცვალების გამო.

---

დეიდაშვილები ციალა, ვენერა, გივი, ოთარ ხეცურიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჯიმშერ, შიო ახვლედიანების ოჯახებს ძმის

**შიოს**

გარდაცვალების გამო.

---

რაიკოოპერატივისა და საწარმოების გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვენერა სალინაძეს მეუღლის

**ბოგდან ჭელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

დადაში ჩაკვეტაძე, ასტერ კოპალიანი, თენგიზ სილაგაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**ლაშა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნიკა სილაგაძე ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახს

**ნადია ლარცულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ილარიონ გელოვანი, გელა ჭაბუკიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**იული ხმელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მამუკა სვანიძე ოჯახით თანაუგრძნობს აქსენტი სვანიძის ოჯახს დედის

**ივლიტას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე მარიამი, შვილები კლარა, ლენა, ეთერი' მაგული, ბერდია, ძმისშვილები დავით, იუზა' თამარ ხმელიძეები, რძლები ნინა სვანიძე, ქეთინო ჩაკვეტაძე, ნანული ოყრეშიძე' ნელი დარსაველიძე, რუსუდან მეგრელი, სიძეები მიხეილ ამალლობელი, ომარ ჭაბუკიანი' გურამ სვანიძე, რომან ნუცუბიძე, ნუგზარ შალამბერიძე' შვილიშვილები ვალერი, მალხაზი, იზა, ნინო' ვალერი, ზეინაბი, შვილთაშვილები თემო, თამუნა' საბა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები' მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იული ნიხეილის ძე ხმელიძე**

დაკრძალვა 26 ნოემბერს, ხუთშაბათს' სოფ. ქორენიშში.

---

გრიშა შკუბულიანი ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახს

**სონა ხვადაგიანის**

გარდაცვალების გამო.

---

პროფსასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბადრი ლარცულიანს ბებიის

**ნადია ლარცულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

პროფსასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ელეონორა ყურაშვილს დის

**რუსუდან ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯუმბერ ბენდელიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფლებს

**ბოგდან ჭელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ ჩიქოვანი ოჯახით თანაუგრძნობს ზოია, ლერი სალინაძეებს შვილის

**მარიკას**

გარდაცვალების გამო.

---

საბიბლიოთეკო ქსელის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რიტა თვარაძეს ძმის

**თამაზ თვარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ციალა, ზაური ჩაჩხიანები თანაუგრძნობენ რიტა თვარაძეს, ჟორჟი' დათუნა ჩაჩხიანებს

**თამაზის**

გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიონული სტამბა.